



სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია შოთა მესხიას
ზუგდიდის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს # 22 დადგენილებით
„ 24 „ „ აპრილი „ 2018 წელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი

03201

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ზუგდიდი, ჯანაშიას 14

ტელეფონი: 0 415 25 62 17

ვებ გვერდი : zssu.ge

ზუგდიდი
2018 წელი

- I. **სახელწოდება:** ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი
- II. **ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შემუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:** 03201-პ
- III. **პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით:** მეოთხე
- IV. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
- V. **საკანონმდებლო ბაზა:**
- საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“
 - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
 - ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის პროფესიული სტანდარტი
- VI. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება
-
- VII. „მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“
- VIII. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ბეჭდური გამოცემები (გაზეთები, ჟურნალები), ონლაინ გამოცემები, საინფორმაციო სააგენტოებში, პრესსამსახურებში
- IX. **პროგრამის მიზანი:**
პროგრამის მიზანია მოამზადოს პროფესიული სტუდენტი, რომელიც შეძლებს მრავალფეროვანი წყაროების გამოყენებით ინფორმაციის მოპოვებას, დამუშავებას, ტექსტური ან მულტიმედიის სახის პროდუქტის (ტექსტური, აუდიო, ვიდეო და/ან ვიდეოფორმატის კომბინაცია) შექმნას და ბეჭდურ და/ან ონლაინ საშუალებით გამოქვეყნებას.
- X. **სწავლის შედეგები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:
- სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო რესურსებთან მუშაობა
 - წერილობით ტექსტზე მუშაობა
 - პროფესიული ეთიკისა და საქართველოს კანონმდებლობის დაცვით ბეჭდური და/ან მულტიმედია პროდუქტის შექმნა

- მედიაპროდუქტის ატვირთვა ვებგვერდზე, ბლოგზე, სოციალური ქსელებით

XI. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- **მოცულობა:**

- ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 115 კრედიტი
- არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 145 კრედიტი-
(დანართი 4- ქართული ენა A1-15 კრედიტი, ქართული ენა B1-15 კრედიტი)

- **სავარაუდო ხანგრძლივობა:**

- ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 21 სასწავლო თვე/84 სასწავლო კვირა
- არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 26 სასწავლო თვე/104 სასწავლო კვირა

XII. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი პროფესიული მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
1.ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3	8.გაცნობითი პრაქტიკა - ბეჭდური და ონლაინგამოცემების რეპორტიორი	2	24.არჩევნების გაშუქება	5
2.რაოდენობრივი წიგნიერება	2	9.საწარმოო პრაქტიკა - ბეჭდური და ონლაინგამოცემების რეპორტიორი	12	25.ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების გაშუქება	5
3.ინფორმაციული წიგნიერება 1	3	10.პრაქტიკული პროექტი - ბეჭდური და ონლაინგამოცემების რეპორტიორი	6	26.განათლების საკითხების გაშუქება	5
4.მეწარმეობა 2	2	11.ახალი ამბების წარმოება	7	27.გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქება	5
5. ინგლისური ენა	5	12.ინფორმაციის მოძიების ტექნიკა	5		

		13.წერილობით ტექსტთან მუშაობა	7		
		14.ფოტოსაქმე	5		
		15.ვიდეომასალაზე მუშაობა	5		
		16.ახალი მედია	6		
		17.პროფესიული ეთიკის დაცვა	6		
		18.პროფესიული უსაფრთხოების დაცვა	2		
		19.კანონმდებლობა რეპორტიორისათვის	4		
		20.სახელმწიფო სტრუქტურებთან მუშაობა	4		
		21.ინგლისური ენა - (B1+/ B2)ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორისათვის	5		
		22.კომუნიკაცია-2	2		
		23.პირველადი გადაუდებელიდახმარება	2		
სულ:	15	სულ:	80	სულ:	20

XIII. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

XIV. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს პროფესიულ კვალიფიკაციას ანიჭებს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, რაზეც რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულებიდან 20 კრედიტი.

XV. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-13 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

დანართი №1-სასწავლო გეგმა

დანართი №2-პროგრამის განმახორციელებლები

დანართი №3-მოდულები

დანართი 4 - ქართული ენის მოდულები